გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება № 36

2023 წლის 10 თებერვალი
ქალაქი გორი

გორის რაიონულ სასამართლოში გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წარმომადგენლობის უფლებამოსილების მქონე პირის დანიშვნის შესახებ

გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოში 2023 წლის 02 თებერვალს შემოსულია (მუნიციპალიტეტის საკრებულოში რეგისტრაცის N:09/21230334-21) სასამართლო გზავნილი ადმინისტრაციულ საქმეზე №3/332-22, რომლის თანახმად, გორის მუნიციპალიტეტის საკრებულო გორის რაიონულ სასამართლოში მონაწილეობს მოპასუხის სტატუსით. საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" მე-7 მუხლის მე-6 პუნქტის თანახმად, თუ მუნიციპალიტეტის საკრებულომ სხვა გადაწყვეტილება არ მიიღო, საქართველოს საერთო სასამართლოებსა და საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოში მუნიციპალიტეტს წარმოადგენს მუნიციპალიტეტის მერი ან მის მიერ უფლებამოსილი პირი. იმის გათვალისწინებით, რომ საკითხი შეეხება გორის მუნიციპალიტეტის მერიის უფლებამოსილებას, მიზანშეწონილია საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" 24-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „ბ.ზ" ქვეპუნქტის შესაბამისად, საკრებულომ მიიღოს გადაწყვეტილება საკრებულოს და არა მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობის უფლებამოსილების მქონე პირის დანიშვნის შესახებ.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" 24-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „ბ.ზ" ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტის შესაბამისად,

1. დაინიშნოს გორის მუნიციპალიტეტის მერი ვლადიმერ ხინჩეგაშვილი ან მის მიერ უფლებამოსილი პირი გორის რაიონულ სასამართლოში გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წარმომადგენლობის უფლებამოსილების მქონე პირად ადმინისტრაციულ საქმე №3/332-22.

2. გორის მუნიციპალიტეტის მერმა ვლადიმერ ხინჩეგაშვილმა ან მის მიერ უფლებამოსილმა პირმა ადმინისტრაციულ საქმე №№3/332-22 გორის მუნიციპალიტეტის

საკრებულოს სახელით აწარმოოს საქმეები სასამართლოს ნებისმიერ ინსტანციაში და ისარგებლოს ყველა იმ უფლებით რომლითაც სარგებლობს მხარე, მათ შორის აღძრას სარჩელი, უარი თქვას სასარჩელო მოთხოვნაზე მთლიანად ან ნაწილობრივ, ცნოს სარჩელი, შეცვალოს სარჩელის საგანი, მორიგებით დაამთავროს საქმე, გაასაჩივროს სასამართლოს გადაწყვეტილებები და განჩინებები, უარი თქვას სასამართლოს გადაწყვეტილებების და განჩინებების გასაჩივრებაზე, დააყენოს შუამდგომლობები, წარმოადგინოს მტკიცებულებები, აიღოს სააღსრულებო ფურცელი.

3. განკარგულება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

4. განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია მისი გაცნობის დღიდან ერთი თვის განმავლობაში სარჩელის წარდგენის გზით გორის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: ქალაქი გორი, სერგო ჯორბენაძის ქ. №30).

საკრებულოს თავმჯდომარე დავით რაზმაძე